მრავალფუნქციონალური საცხოვრებელი სახლი.

ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, N2
ს/კ 01.13.02.004.062 არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი -3000.00 მ^2

დენდროლოგიური პროექტი

დენდროლოგი გიორგი ტივაძე

თბილისი

2022

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 24 იანვარი 2022 წ.

მისამართი:

ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა,N2;

საკადასტრო კოდი:

01.13.02.004.062;

ფართობი:

3000.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „ასტრა პარკი", ID ნომერი:202339497

,

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი.

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა . აღწერა- შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

ცხრილი№ 1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ-დან 10სმ-ზე) სმ	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
2	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
3	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
4	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
5	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
6	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
7	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	გართხმული ღვია (juniperus gold star)	ბუჩქი	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
9	ირმის რქა (Lagerstroemia indica)	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
10	ჰიმალაიური კედარი (Cedrus deodara)	ხე	62	ჯანსაღი	
11	ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill)	ხე	32	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
12	ლეღვი (Ficus carica)	ხე	4	ჯანსაღი	ხილკკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
13	ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill)	ხე	27	ხმობადი	
14	ჰორიზონტალური კვიპაროზი	ხე	36	ჯანსაღი	

	(Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill)				
15	ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill)	კუნძი	41	ზეხმელი	
16	ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill)	ხე	27	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
17	ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill)	ხე	46	ჯანსაღი	
18	მარაოსებრი პალმა (Trachycarpus excelsus)	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
19	ვარდი (Rosa)	ბუჩქი	1	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
20	გლიცინია (Wisteria)		4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 20

ხილკენკროვანი ხე–მცენარე : 1

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარე : 15

ზეხმელი ხე–მცენარე : 1

ხმობადი ხე–მცენარე : 1

კუნძი: 1

კერძოდ:

იხ.ცხრილი№ 1

1.მარადმწვანე წიწვოვანი ხე-მცენარე და ბუჩქი 14 ძირი:

8 ძირი(№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8) -გართხმული ღვია (juniperus gold star);

1 ძირი(№ 10) -ჰიმალაიური კედარი (Cedrus deodara);

5 ძირი(№ 11, 13, 14, 16, 17) - ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill).

2. იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 2 ძირი:

1 ძირი(№ 9) - ირმის რქა (Lagerstroemia indica);

1 ძირი(№ 18) - მარაოსებრი პალმა (Trachycarpus excelsus).

3 . ხილ-კენკრვანი სახეობის ხე- მცენარე 1 ძირი:

12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 1 ძირი:

1 ძირი(№ 12) - ლეღვი (Ficus carica).

4. ბუჩქი და მხვიარა 2 ძირი:

1 ძირი(№ 19) - ვარდი (Rosa);

1 ძირი(№ 20) - გლიცინია (Wisteria).

5. კუნძი 1 ძირი:

1 ძირი(№ 15) - - ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus sempervirens L. var. horizontalis Mill).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია საჭიროების შემთხვევაში:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ნარგობის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი:

გიორგი ტივაძე


































13














17


17







saqarTvelo

q. Tbilisi, konstantine CaCavas q. #2

s/k 01.13.02.004.062

mesakuTre: Sps "astra parki" (202339497)

3000 kv.m. arasasoflo-sameurneo daniSnulebis miwis nakveTis

gegma



pirobiTi aRniSvnebi

WGS 1984 -is koordinatTa sistemis UTM proeqcia

qs	sacx. Senoba	xis Robe	w — wyalgayvaniloba
qa	arasacx. Senoba	Robe	
	farduli	qvis kedeli	g — gazi
	mSenebare Senoba	kedeli	k — kanalizacia
	satransfor.	flate	san — saniaRvre
	jixuri xeebi	rkinigza	kg — kavSirgabmuloba
	vazi gare ganaTeba	sameTvalyureo Webi	el. qselebi
		el. gadamcemi xazi	Tg — gaTboba

SeniSvna: miwis samuSaobis Sesrulebisas SeatyobineT komunikaciis warmomadgenlebs

Sps "Aaer qonsalting"
ltd "AR consulting"
q. Tbilisi, broses q. #4
5(55)663250
5(99)974595
tamriko.alt@mail.ru

direqtori:		g. janiaSvili
azoma:		vl. aleqsandrovi
daxaza:		T. alTunaSvili
damkveTi:		
masStabi: 1:500		16.08.2021w.


C
საპროექტო შენობიდან 3 მ-ის დაშორებით
სივრცის გეგმა
01.13.02.004.062
საპროექტო შენობა
2ქას
12,13
ქას.
გრ.
ბაბ.
ხრ.


01.13.02.004.062
მჩხვლეტავი ნაძვი
ესპანური სოჭი
ესპანური სოჭი
ესპანური სოჭი
მჩხვლეტავი ნაძვი
ესპანური სოჭი
კავკასიური ცაცხვი
კავკასიური ცაცხვი
კავკასიური ცაცხვი
კავკასიური ცაცხვი
კავკასიური ცაცხვი
კავკასიური ცაცხვი
კავკასიური ცაცხვი
იტალიური ფიჭვი
ესპანური სოჭი
ესპანური სოჭი
მარადმწვანე მუხა
მჩხვლეტავი ნაძვი
ქას.
ქას.
2ქას
დასარგავი წიწვოვანი ხე-მცენარეები
დასარგავი ფოთლოვანი ხე-მცენარეები
ჰიმალაის კედარი





დენდროლოგიური პროექტი

ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, N2
ს/კ 01.13.02.004.062 არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი -3000.00 მ^2

გასამწვანებელი ფართობი - 786,2მ^2

არსებულ ტერიტორიაზე ხე-მცენარების საერთო რაოდენობა შეადგენს 20 ძირს.

მოსაჭრელი ხე-მცენარე, სულ 2 ძირი:

N:12;13

დასარგავია სულ 28 ხე-მცენარე მათ შორის:

1.იტალიური ფიჭვი-(pinus pinea)-6ძირი.

2.მჩხვლეტავი ნაძვი-(picea pungens)-3ძირი.

3.ესპანური სოჭი-(Abies pinsapo)-6ძირი.

4. მარადმწვანე მუხა-(Quercus ilex)-3 ძირი.

5. ჰიმალაის კედარი-(Cedrus deodara)-3 ძირი.

6. კავკასიური ცაცხვი-(Tilia caucasica)-7 ძირი.

დასარგავ ხეებს შორის მანძილი უნდა იყოს 4მ.

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
1	იტალიური ფიჭვი(Pinus pinea)	20 სმ.	12 წ.	3.0 მ.	გვალვაგამძლე, სწრაფმოზარდი	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
2	მჩხვლეტავი ნაძვი-picea pungens	20 სმ.	16 წ.	3,0მ.	ჩრდილის ამტანი, ნელა მზარდი	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
3	ესპანური სოჭი- (Abies pinsapo)	20 სმ.	12 წ.	3.0 მ.	გვალვაგამძლე, სწრაფმოზარდი	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
4	მარადმწვანე მუხა- Quercus ilex	14 სმ.	16 წ.	3,5 მ.	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი.	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
5	ჰიმალაის კედარი- Cedrus deodara	20 სმ.	15 წ.	3.0 მ.	გვალვაგამძლე, სწრაფმოზარდი	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
6	კავკასიური ცაცხვი- Tilia caucasica	20 სმ.	14 წ.	3,5 მ.	ჩრდილის მოყვარული, საშუალოდ მზარდი.	

ხე-მცენარეების დარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებულ უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0.5-0.9 მ. - ით მეტი, ხოლო სიმაღლე 0.2-0.25 მ. - ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
2. ამოღებულ ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან;
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
6. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისგან;
7. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
8. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
9. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღეროს ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
10. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
11. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
12. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;

7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები.

მწვანე მოლის დათესვა – 510მ²

მოლს ჰყოფენ ორ ძირითად ჯგუფად: დეკორატიული და სასპორტო. ჩვენს შემთხვევაში გამოიყენება დეკორატიული მოლი. დასათესად გამოიყენება მრავალწლოვანი კოინდარი, რომელიც კარგად ხარობს, როგორც ღია მზიან, ისე დაჩრდილულ ადგილებში, უყვარს ნოყიერი ნიადაგი. ნათესარი სწრაფად ვითარდება და პირველსავე წელს იძლევა ელასტიურ და კარგად შეკრულ მოლს.

ნიადაგის მომზადება მოლისათვის

დეკორატიული მოლის მისაღებად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნიადაგის მომზადება და მისი ზედმიწევნით კარგად დამუშავება, რაზედაც დამოკიდებულია მოლის ხარისხი და გამძლეობა. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ხელოვნურად ნიადაგი შემდეგი თანაფარდობით: 1/3 ტორფი, 1/3 ორგანული სასუქი და 1/3 ტყის ნეშომპალიანი მიწა(გაცრილი). ნიადაგი უნდა გაიშალოს ფართობში არა ნაკლებ 15-20 სმ-ისა.

თესვის ვადა და წესი

ნიადაგის შეტანის შემდეგ, ხელის ფოცხით ხდება მისი გასწორება და სარეველების მოცილება. თესვის ყველაზე ხელსაყრელი დროა გაზაფხული (მარტი,აპრილი) ან გვიანი შემოდგომა. თესვა ხდება ხელით, თესლის მობნევით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ განაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა ორ თანაბარ ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით, გარდიგარდმო. ერთი კილოგრამი კოინდარი ითესება 15-20 მ² ფართობზე. თესვის დამთავრების შემდეგ საჭიროა თესლის წაბურვა-ჩაფვლა, ხელის ფორცხით 0.5-2 სმ სიმაღლეზე. წაბურვის შემდეგ

აგროტექნკური თვალსაზრისით აუცილებელია მოთესილი ფართობის მსუბუქი საგორებელი სატკეპნით დატკეპნა, რის შემდეგაც აუცილებელია მორწყვა. ჩვენს შემთხვევაში 510 მ^2 ფართობის მოსათესად საჭიროა 34 კგ. თესლი.

მოლის მოვლა

მოლის კარგი მოვლა განაპირობებს ბალახის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, მოუვლელობის შედეგად მარცვლოვანი ბალახი იჩაგრება და იდევნება ფართოფოთლოვანი სარეველებისაგან, ხოლო მწირ და მჟავე ნიადაგზე ჩნდება ხავსი, მოტიტვლებული ადგილები.
თანაბარი, ლამაზი და მწვანე ბალახნარის მისაღებად, საჭიროა მოლის ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შემდეგ მცენარე უკეთ ბარტყობს და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ინვითარებს ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახები ისპობა. მოლის გათიბვა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მცენარე მიაღწევს სიმაღლეში 10-12 სმ-ს. ფართობის გათიბვა უნდა მოხდეს თვეში 4-6 ჯერ. განსაკუთრებულ რეგულარულ რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ გაღივების პერიოდში და ბალახის აღმოცენების პირველ ხანებში. მორწყვა უნდა მოხდეს ყოველდღიურად დილით ადრე და საღამოს. მორწყვითი პროცედურები წარმოებს მანამ სანამ ნიადაგის ზედა ფენა არ გაიჭღინთება 5-12 სმ. სიღრმემდე. გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში 1მ^2 მოლის მოსარწყავად საშუალოდ 0,8-1მ^3 წყალია საჭირო.

პროექტი შეადგინა:  ექსპერტი გიორგი ტივაძე

დენდროლოგიური პროექტი
საინფორმაციო დაფა

ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, N2
ს/კ 01.13.02.004.062 არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი -3000.00 მ^2
--- --- ---
ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
--- --- ---
დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი 2022 წელი, დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 2025 წელი.
--- --- ---
გასამწვანებელი ფართობი 786.2 კვ.მ; არსებულ ტერიტორიაზე ხე-მცენარების საერთო რაოდენობა შეადგენს 20 ძირს. მოსაჭრელი ხე-მცენარე, სულ 2 ძირი: N:12;13
--- --- ---
დასარგავია სულ 28 ხე-მცენარე მათ შორის:
1.იტალიური ფიჭვი-(pinus pinea)-6ძირი.
2.მჩხვლეტავი ნაძვი-(picea pungens)-3ძირი.
3.ესპანური სოჭი-(Abies pinsapo)-6ძირი.
4. მარადმწვანე მუხა-(Quercus ilex)-3 ძირი.
5. ჰიმალაის კედარი-(Cedrus deodara)-3 ძირი.
6. კავკასიური ცაცხვი-(Tilia caucasica)-7 ძირი.
--- --- ---
ხე-მცენარეების სიმაღლე 3.5 მ.; დაშორება 4 მ.; ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ.
--- --- ---
გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: გიორგი ჭიჭინაძე, 01001067259
--- --- ---
გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა - 3 წელი





წერილის ნომერი: **18-01221304091**
თარიღი: **11/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01221263939
წერილის თარიღი:	06 მაისი, 2022
განმცხადებელი:	გიორგი ჯანიაშვილი
განაცხადის N	AR1875655
მისამართი	ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, N 2
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.13.02.004.062
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "ასტრა პარკი"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავ(ებ)ის დატანით
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) პირველი მუხლის „ა. თ“, ,,ბ“ ქვეპუნქტები; დადგენილების 68-ე მუხლი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 25-ე, 26-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა (ფოტოსურათებით დაფიქსირებული მცენარეები სრულად არ არის ასახული დასკვნაში), ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის 3 მეტრიანი მანძილების აღნიშვნით.

ამასთანავე, ინფორმაციის სახით მითითებული უნდა იყოს რომელი მწვანე ნარგავ(ებ)ის (ნუმერაციის მიხედვით) მოჭრა/გადარგვა იგეგმება.

აქვე დავძენთ, რომ სამსახურს იმ საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რომელზეც ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი, ასევე, მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა, მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი